საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/7795
18/05/2023

7795-2-08-2-202305181027

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

როგორც მოგეხსენებათ, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) გაუმჯობესების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №2-1011 ბრძანება).

აღსანიშნავია, რომ ხსენებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ფარგლებში საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით, სამშენებლო სამუშაოები გაიყო სამ ლოტად: კმ 0+310 - კმ 4+040 (ლოტი 0) , კმ 4+040 - კმ 27+840 (ლოტი 1) და კმ 27+ 840 - კმ 35+500 (ლოტი 2). საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ლოტი 2 მონაკვეთის (კმ 27+ 840 - კმ 35+500) მშენებლობა დაევალა ტენდერის გზით გამოვლენილ კომპანიას - ამხანაგობა „გოჩაი ინშაათი და მაქრო კონსტრაქშენი“-ს.

ზემოთხსენებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში სამშენებლო ბანაკის მოსაწყობად შერჩეული იყო ხუთი ალტერნატიული ტერიტორია (გზშ-ის ანგარიში, ქვეთავი - 4.13.2 სამშენებლო ბანაკები, გვ. 46), თუმცა მშენებელი კონტრაქტორის მიერ მოხდა სხვა უფრო ხელსაყრელი ტერიტორიის მოძიება დროებითი ბანაკის მოსაწყობად. შერჩეული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 55.12.62.001.605) წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიას, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია და კონტრაქტორს გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება.

ვინადინად გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილ ტერიტორიაზე არ ეწყობა დროებითი სამშენებლო ბანაკი და ეს ცვლილება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად წარმოადგენს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას, ელექტრონული სახით გიგზავნით გზშ-ს ცვლილების სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

მოგვაწოდოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის ანგარიში - ელ. ვერსია;

პატივისცემით,

სალომე წურწუმია

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე